

# შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი
შემოსვლის დრო
შემოსვლის № 27673322
ფურცლების რაოდენობა

| საქმე №3/5265-18 | ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა | თამარ შემშველიშვილი |
|---|---|---|
| | მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი |

## მოპასუხე: *შენიშვნა-1*

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 211343982 | ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | მირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | info@georoad.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

| | | |
|---|---|---|
| 1. სალომე წურწუმია<br>2. ირაკლი კამლაძე | 1. 19001060442<br>2. 01025017218 | 1. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12<br>2. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

| | | | |
|---|---|---|---|
| ირაკლი კამლაძე | | 555 53 44 12 | irakli.kamladze@georoad.ge |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-5*

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

## სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

| | |
|---|---|
| დიახ | ☐ |
| არა | ☒ |
| ნაწილობრივ | ☐ |

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება კავშირში არ არის მოცემულ დავის საგანთან.

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

აღნიშნული გარემოება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (შემდგომში - დეპარტამენტი) ცნობილი გახდა, სასამართლოს მიერ ააიპ - „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელის წარმოდგენის შემდგომ.

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

აღნიშნული გარემოება დეპარტამენტისთვის ცნობილი გახდა, სასამართლოს მიერ ააიპ - „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელის წარმოდგენის შემდგომ.

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რის საფუძველზე? |
| არა | ☒ | |

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რის საფუძველზე? |
| არა | ☒ | |

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელე, სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითებს, რომ ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ - რუფოთი - ძლისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი"-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის №2-292 ბრძანება (შემდგომში - 292-ე ბრძანება), ვინაიდან გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. აღნიშნული მოსაზრება არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი შემდეგი გარემოების გამო:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მე-60 პრიმა მუხლით.

კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ ასაბუთებს, რომელ კანონს ეწინააღმდეგება 292-ე ბრძანება, ან აღნიშნულ მუხლში მითითებული, რომელი ნორმა იქნა დარღვეული მისი გამოცემის დროს. მოსარჩელე აპელირებს იმ გარემოებაზე, თითქოს

დარღვეულია „გარემოსდაცვითი შეფასების“ კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებული ნორმა, რომლის შესაბამისადაც, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ამ ნორმის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 27 მარტის წერილის საფუძველზე ანუ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ. მოსარჩელე, არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს აღნიშნულ ფაქტებს, ვინაიდან სასამართლოში არ აქვს წარმოდგენილი ის დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც დგინდება, რომ ადმინისტრაციული წარმოება მოცემულ შემთხვევაში დაწყებულია არა 2018 წლის 27 მარტს, არამედ 2017 წლის 12 დეკემბერს, დეპარტამენტის თავმჯდომარის №2-13/14472 წერილის (შემდგომში - №2-13/14472 წერილი) საფუძველზე. აღნიშნული წერილით დეპარტამენტმა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) აცნობა, რომ დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ - რუფოთი - ალისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის (შემდგომში - პროექტი) განხორციელება, ასევე აცნობა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესრულების მიზნით, 2018 წლის 8 თებერვალს, 14:00 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტისგამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართებოდა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის 2017 წლის 12 დეკემბრის 251-ე ნომერში. ამავე წერილით დეპარტამენტმა, სამინისტროს, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, წინასწარი განხილვის მიზნით, წარუდგინა კანონით დადგენილი დოკუმენტაცია.

№2-13/14472 წერილით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია 2017 წლის 12 დეკემბერს და არა მოსარჩელის მიერ მითითებულ 2018 წლის 27 მარტს, შესაბამისად სამინისტრომ სწორად გამოიყენა „გარემოსდაცვითი შეფასების“ კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლოა მოსარჩელის განმარტება, რომ სამინისტროს მიერ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, „გარემოსდაცვითი შეფასების“ კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მითითებული ნორმები, ვინაიდან 2018 წლის 27 მარტის №2-13/3458 წერილით, დეპარტამენტის მიერ გაგზავნილია პირველადი განხილვის შემდეგ საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის 2018 წლის 1 თებერვლის №918/01 წერილით მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით გასწორებული ანგარიში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად და აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს. მოსარჩელემ არასწორი ინტერპრეტაცია/შეფასება მისცა, ასევე იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი, ვინაიდან №2-13/14472 წერილით დგინდება, რომ დეპარტამენტის მიერ საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო გაზეთ საქართველოს

რესპუბლიკის 2017 წლის 12 დეკემბრის 251-ე ნომერში და დაინტერესებულ პირს ტავისუფლად შეეძლო მასზე დასწრება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობა.

რაც შეეხება მოსარჩელის პრეტენზიას, თითქოს პროექტს უნდა გაევლო „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, შემდეგი გარემოების გამო:

როგორც ზემოთ მითითებული გარემოებებიდან ჩანს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2017 წლის 12 დეკემბერს, შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა 2018 წლის პირველ იანვრამდე არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლითაც არ იყო გათვალისწინებული „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსით დადგენილი სკოპინგის პროცედურა.

პროექტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარებას უმთავრესი როლი ენიჭება, ამ მხრივ კი საგზაო ქსელის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ფაქტორებს განაპირობებს. სატრანსპორტო სექტორის განვითარება აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ზრდისათვის და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ნიშანდობლივია, რომ 292-ე ბრძანების ბათილობა გამოიწვევს პროექტის შეფერხებას და საფრთხე შეექმნება ამ პროექტის განხორციელებას, სახელმწიფოს მიადგება მნიშვნელობანი ზიანი, როგორც ფინანსური, ასევე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხით.

| |
|---|
| შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე: |
| მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები |
| შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე: |
| მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები |
| შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე: |

## მტკიცებითი შუამდგომლობები

*შენიშვნა-23*

| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
|---|---|
| | |

| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
|---|---|
| | |

| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
|---|---|
| | |

*შენიშვნა-24*

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით:

1.

*შენიშვნა-25*

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

*შენიშვნა-26*

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

*შენიშვნა-27*

## სხვა სახის შუამდგომლობები

*შენიშვნა-28*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რის საფუძველზე? |
| **არა** | ☒ | |

*შენიშვნა-29*

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | მორიგების პირობები: |
| არა | ☒ | რადგან |

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: დეპარტამენტის 2017 წლის 12 დეკემბერს №2-13/14472 წერილი - 1 ფურცელი;
დანართი 2: დეპარტამენტის 2018 წლის 27 მარტის №2-13/3458 წერილი - 1 ფურცელი;
დანართი 3: საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის №2-292 ბრძანება - 5 ფურცელი;
დანართი 4: საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის 2018 წლის 1 თებერვლის №918/01 წერილი - 4 ფურცელი;
დანართი 5: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკი"-ს 251-ე ნომერი - 12 ფურცელი;
დანართი 6: ამონარიდი საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის საიტიდან (ძველი რედაქცია) - 1 ფურცელი;
დანართი 7: მინდობილობა - 1 ფურცელი;
დანართი 8: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 2 აპრილის №74 ბრძანება - 1 ფურცელი;
დანართი 9: დეპარტამენტის დებულება - 28 ფურცელი;
დანართი 10: შესაგებლის ელ. ვერსია - 1 (ერთი) ცალი CD დისკი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 64 ფურცელი და 1 (ერთი) ცალი CD დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან |

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან |

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

| | | |
|---|---|---|
| ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: | 00:00 - 10:00 |

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან |

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|
| ს. წ.<br>ი. კამ | სალომე წურწუმია<br>ირაკლი კამლაძე | 13/12/2018 წ. |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.